BLACKSMITHING IN MOUNTAINOUS AND EASTERN SAMEGRELO (MYTHOLOGY, TRADITIONS, TOPONYMY, ORAL STORIES)

მჭედლობა მთიან და აღმოსავლეთ სამეგრელოში (მითოლოგია, ტრადიციები, ტოპონიმიკა, გადმოცემები)

Giorgi Mamardashvili
Doctor of Anthropology
OCRID ID :0009-0002-4495-2022
+995591935099; giorgi.mamardashvili@tsu.ge

Abstract

The topic of the article is metalworking and blacksmithing in Mountainous and East Samegrelo. It is suggested that blacksmithing was a fairly advanced economic branch in this region. Kolkheti's long history of copper and bronze mining, processing, and production survived in later times and became the basis for the development of the iron industry. Data about high bronze and iron processing technologies used in West Georgia and its environs are found in various historical written sources. This fact is believed to be depicted in the Argonaut Myth as well.

The evidence of the Region's strong blacksmithing tradition is the geographical names derived from the root chkad (chedva, which is Georgian for "blacksmithing"). On the other hand, there are toponyms that are connected to blacksmithing, although do not have the root chkad (for instance, Onoshkere meaning a coal bunker, a place where coal was prepared for use in blacksmithing, as well as Saangure, which is a brick furnace for making clay pots and bricks. Probably, pipes of melting furnaces, clay pipes and some other details were also made there). East Samegrelo has more toponyms that refer to blacksmithing than the western part of Samegrelo Region. This fact suggests that blacksmithing was more developed in East and Mountainous Samegrelo than in other parts of Samegrelo Region.

As the field ethnographic data gathered in the mid-XX century evidence, a smithy was revered and a blacksmith was regarded a very valuable and important member of the community, although his social status must have been much more honorable in the earliest days of metallurgy. The smithies were where ritualistic swearing and "anathematizing" (a type of curse) took place. On particular days, blacksmiths would pray to "St. Solomos/Solomon". Although the most recent field materials do not confirm this practice, sacredness of blacksmith shops is still remembered by the locals. Today, blacksmithing in Samegrelo no longer serves the purpose it once did, though one or two smithies are still working primarily making agricultural tools and equipment.

Key words: Blacksmithing, metal, copper, bronze, iron, mythology, toponymy, East Samegrelo, Mountainous Samegrelo, smith

გიორგი მამარდაშვილი
ანთროპოლოგიის დოქტორი
OCRID ID :0009-0002-4495-2022
+995591935099,
giorgi.mamardashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მთიან და აღმოსავლეთ სამეგრელოში მჭედლობა-მელითონეობასთან დაკავშირებული საკითხები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ რეგიონში მჭედლობა მეურნეობის საკმაოდ განვითარებული დარგი იყო. კოლხეთში სპილენძისა და ბრინჯაოს მოპოვება-დამუშავებისა და წარმოების მდიდარმა ტრადიციამ ასახვა შემდგომ პერიოდებშიც ჰპოვა და რკინის წარმოების განვითარების საფუძველი გახდა. დასავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების მაღალ ტექნოლოგიებზე ცნობები შემონახულია ისტორიულ წერილობით წყაროებში. აგრეთვე ასახული უნდა იყოს მითში არგონავტების შესახებ.

აღნიშნულ რეგიონში მჭედლობის განვითარებულობაზე მიუთითებს გეოგრაფიული სახელები, რომლებიც „ჭკად“ (ჭედვა) ძირისგანაა ნაწარმოები. ასევე გვხვდება მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, რომელთა ძირი არ არის „ჭკად“, თუმცა ისინი დაკავშირებული არიან მჭედლობასთან (მაგ: ონოშქერე - სანახშირე, ადგილი სადაც სამჭედლოებისთვის ნახშირი მზადდებოდა; საანგურე - აქ კეთდებოდა თიხის ჭურჭელი და აგური. სავარაუდოდ აქვე უნდა დაემზადებინათ სადნობი ქურის მილები და თიხის სხვა ნაწილებიც). მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმები აღმოსვლეთ სამეგრელოში უფრო მეტია ვიდრე მის დასავლეთ ნაწილში. ეს ფაქტი მიგვითითებს რომ აღმოსავლეთ და მთიან სამეგრელოში მჭედლობა უფრო განვითარებული იყო ვიდრე დანარჩენ სამეგრელოში.

მეოცე საუკუნის შუა წლებში შეგროვებული საველე ეთნოგრაფიული მონაცემებით სამჭედლო საკრალურ ადგილად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ მჭედელი სოფლად საკმაოდ მნიშვნელოვანი და დაფასებული პიროვნება იყო. მისი სოციალური სტატუსი მელითონეობის საწყის ეტაპზე გაცილებით მაღალი იქნებოდა. სამჭედლოებში ტარდებოდა დაფიცების და „გადაცემის“ (დაწყევლის ერთგვარი ფორმა) რიტუალები. მჭედლები განსაზღვრულ დღეებში „წმინდა სოლომოს/სოლომონის“ სახელზე ლოცულობდნენ. უახლესი საველე მასალის მიხედვით ამგვარი პრაქტიკა არ დასტურდება, მაგრამ ხსოვნა სამჭედლოების საკრალურობისა ადგილობრივებში შემორჩენილია. ამჟამად, სამეგრელოში მჭედლობას დაკარგული აქვს თავისი ადრინდელი ფუნქცია, თუმცა თითო-ოროლა სამჭედლო დღესაც ფუნქციონირებს და მჭედლები ძირითადად სოფლის მეურნეობაში გამოსადეგ იარაღებისა და ინვენტარის დამზადებით არიან დაკავებულები.

საკვანძო სიტყვები: მჭედლობა, ლითონი, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, მითოლოგია, ტოპონიმიკა, აღმოსავლეთ სამეგრელო, მთიანი სამეგრელო, მჭედელი.

შესავალი

მთიან და აღმოსავლეთ სამეგრელოში (მარტვილის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონები) მჭედლობის ტრადიციები, დღეისათვის, თითქოს, სუსტადაა შემონახული, თუმცა ეს ტრადიციები, მჭედლობასთან დაკავშირებული გადმოცემები, ფოლკლორი, მითოლოგია და განსაკუთრებით კი ტოპონიმიკა (მიკრონიმებთან ერთად) ცხადი დასტურია იმისა, რომ მთიან და აღმოსავლეთ სამეგრელოში მჭედლობა საკმაოდ განვითარებული იყო.

მეთოდები

ნაშრომში მიმოხილულია აღმოსავლეთ და მთიან სამეგრელოში მელითონეობასთან და მჭედლობასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევა ეფუძნება საველე ეთნოგრაფიული მასალის, ტოპონიმიკური მონაცემების, მჭედლობასთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტების, გადმოცემების და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს.

შედეგები

გასული საუკუნის შუა წლების და უახლესი საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დასტურდება, რომ სამეგრელოში მჭედლობა-მელითონეობა მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო. ამჟამად სამჭედლო საქმეს იშვიათად მისდევენ. სამჭედლოს საკრალურობის ხსოვნა, ერთგვარი რიდი და მისტიურ ადგილად მიჩნევის ტრადიცია ადგილობრივებში კვლავ შემორჩენილია. შეიძლება ითქვას, მჭედლობა-მელითონეობასთან დაკავშირებული ტოპონიმიკა კარგად არის შემონახული. თუმცა ზოგიერთი მათგანი და აგრეთვე მელითონეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი უნარ-ჩვევა ნელ-ნელა მივიწყებას ეძლევა.

მსჯელობა

ლითონის მადანი სამეგრელოში არ მოიპოვება. აქ მადანი, დიდი ალბათობით, დასავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის რეგიონებიდან ჩამოჰქონდათ. ალბათ ამითაცაა განპირობებული ის, რომ მეტალურგია უფრო განვითარებული ჩანს აღმოსავლეთ სამეგრელოში (განსაკუთრებით, ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის მოსაზღვრე რაიონებში), ვიდრე სამეგრელოს დასავლეთ და ზღვისპირა რაიონებში.

კოლხეთში (რომლის დიდ ნაწილს მოიცავდა დღევანდელი სამეგრელო) სპილენძის წარმოებისა და მეტალურგიის განვითარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს კოლხეთში „არგონავტების“ ლაშქრობის ერთ-ერთი ეპიზოდი: იასონს კოლხეთის მეფე აიეტისგან დავალებული აქვს რამდენიმე ამოცანის შესრულება, რის შემდეგაც მას უფლება აქვს დაისაკუთროს ოქროს საწმისი. დავალების ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენდა სპილენძისუღლიანი ხარების დამორჩილება - მიწის მოხვნა და ნახნავში გველეშაპის კბილების დათესვა. იასონმა, მიწისქვეშეთიდან ამოსული ორი ცეცხლისმფრქვეველი ხარის დასამორჩილებლად საკუთარი იარაღი აიეტის ქალიშვილის, მედეას მიცემული საცხით გაპოხა, რითაც ფარს, შუბს და მახვილს არნახული სიმტკიცე შემატა (არგონავტები. 2013: 33). რა თქმა

უნდა, ლეგენდა არგონავტების შესახებ ურყევ სამეცნიერო არგუმენტად არ გამოდგება, თუმცა ადვილად შესაძლებელია, რომ ლეგენდის ამ ნაწილში, კოლხეთში სპილენძის წარმოების ფართო გავრცელება და მეტალურგიის მაღალგანვითარებულობა აისახა.

უძველეს ქართველურ ტომებში მელითონეობის განვითარების მაღალ დონეზე ისტორიული წყაროებიც მეტყველებენ. მათთვის კარგად ნაცნობი იყო სპილენძისა და რკინის მადნების მოპოვებაცა და დამუშავებაც. მაგალითად: მუსკები განსაკუთრებით რვალის დამუშავებით გამოირჩეოდნენ, ხოლო თუბალები რკინის ხელობით იყვნენ ნაქები (რეხვიაშვილი, 1964: 15). ბიბლიის ერთ-ერთ თავში („დაბადება“) თუბალს თუბალკაენი ჰქვია. თუბალი, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, იბერიელის (აღმოსავლეთ საქართველოს ქართველურ ტომთა გაერთიანების) აღმნიშვნელი ეთნონიმია. თუბალკაენი იყო: „კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“ (რეხვიაშვილი, 1964: 15). კაენი, მჭედელს ნიშნავს და ჩანს, რომ თუბალები მჭედელ, მელითონე ხალხადაა მიჩნეული, რომელთა შორის სპილენძის (რვალის) და რკინის ხელობა, შესაძლოა, ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად იყო გავრცელებული. ზოგიერთი ვარაუდით, სუბარულმა („დაბადების“ თობალი) ტომებმა რკინის დამუშავება მეორე ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყეს. ისინი წარმატებულად ვაჭრობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვისა და ეგვიპტის ქვეყნებთან. ფულად ერთეულად, ამ სავაჭრო ურთიერთობაში, ბრინჯაოს რგოლებიც გამოუყენებიათ. ექსპორტის ერთ-ერთი მთავარ საგანს, სავარაუდოდ, ლითონი, მაგარი რკინა წარმოადგენდა (საქართველოს ისტორია. 1943: 29; საქართველოს არქეოლოგია. 1959: თავი მეოთხე). უძველესი დროიდან ხალიბებში რკინის მადნის მოპოვების შესახებ გვამცნობს ფსევდო არისტოტელე: „რკინა მზადდებოდა მდინარეთა მოტანილი ქვიშისგან. ქვიშას რამდენჯერმე გარეცხავდნენ და შემდეგ წურავდნენ რკინად. მასთან დნობის დროს უმატებდნენ ერთგვარ ცეცხლგამძლე ქვას, რომელიც მათ ქვეყანაში ბევრია. ამ ჯიშის მადნისგან მიღებული რკინაა ყველაზე უკეთესი. და ის, რომ ერთ ღუმელში არ დნებოდეს, ვერცხლისაგან არ განირჩევა. ეს ის რკინაა, რომელიც ჟანგს არ იკიდებს, მაგრამ მისი მოპოვება ძალზე ძნელია“ (რეხვიაშვილი, 1964: 11; Латышев, 1893: 380). ბერძენი მემატიანის ეს ცნობა ადასტურებს, რომ ხალიბები უძველესი წესით მოიპოვებდნენ მადანს და ეს ცნობა შესაძლოა იმის დასტური იყოს, რომ ისინი ერთ-ერთი პირველი იყვნენ, ვინც რკინის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიებს დაეუფლნენ.

არის მოსაზრება, რომ კავკასიელი ხალხები ბრინჯაოს აღმოსავლეთის საშუალებით გაეცნენ, ხოლო რკინის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიებს თავად, დამოუკიდებლად ეზიარნენ. რკინის ათვისებას წინ უძღოდა სპილენძის ათვისების ხანგრძლივი გამოცდილება (რეხვიაშვილი, 1964: 5, 12; ინანიშვილი, 2019: 5). სპილენძის წარმოება და ამ მადნისგან სამეურნეო და საბრძოლო იარაღების დამზადება ადრეული შუასაუკუნეებიდან მთლიანად უნდა ჩაენაცვლებინა რკინის მეტალურგიას. სპილენძსა და ბრინჯაოს, მხოლოდ სამკაულისთვის, ჭურჭლისთვის,

მონეტების დასამზადებლად თუ იყენებდნენ. სავარაუდოდ, სპილენძის დამუშავების ტექნოლოგიის ტრადიციებზე, გამოცდილებაზე ამოიზარდა რკინის მეტალურგია და მჭედლობა, რომლის შესახებაც საკმაო ინფორმაციას იძლევა წარსულში თუ დღევანდელობაში შეგროვებული ეთნოლოგიური მონაცემები.

სამეგრელოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში მრავლად გვხვდება მჭედლობასთან (მეგრულად „ჭკად“, „ჭკადუა“) დაკავშირებული ტოპონიმები, რაც თავისთავად მეტყველებს ამ რეგიონში მეტალურგიული საქმიანობის განვითარებაზე. მთიანი სამეგრელოს - მარტვილის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში - მჭედლობა-მელითონობის აღმნიშვნელი სიტყვებისგან ნაწარმოები ტოპონიმები უფრო ხშირია, ვიდრე დასავლეთ სამეგრელოში (ზუგდიდი, ხობი, აბაშა). განსხვავებული სიტუაცია უნდა გვქონდეს სამეგრელოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში (სამურზაყანო და აბჟუა, ამჟამინდელი გალისა და ოჩამჩირის რაიონები), რის საფუძველსაც გვაძლევს ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობაში მჭედლობისა და სამჭედლოების რელიგიურ-რიტუალური დანიშნულების თითქმის დღევანდელობამდე შემორჩენილ ტრადიციებს აფიქსირებს.

მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. პირველი და უმთავრესი **ჭკად** (ჭედვა) ძირის მქონე ტოპონიმებია. მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის ტოპონიმები, რომლებიც არ შეიცავენ **ჭკად** ძირს, მაგრამ მათი ფუძეები შინაარსობრივად მჭედლობასთანაა დაკავშირებული.

ნაჭკადურ, ნაოჭკადგრ, ნაოჭკადუ, ნაოჭკადენი, ნაოჭკადრე/ნაოჭკადური, ნაჭკადუერი ოჭკადური, ოჭკადურეში, - ჭკად ძირისაგან ნაწარმოები ტოპონიმებია. **ნაჭკადური, ნაოჭკადუ, ნაოჭკადენი, ნაოჭკადრე/ნაოჭკადური, ნაჭკადუერი** ნიშნავს ადგილებს, სადაც ადრე სამჭედლო იყო. **„ნა-ურ/ ნა-გრ, ნა-ენ“** აქ წინავითარების აღმნიშვნელი მაწარმოებლებია. ზემოთ დასახელებული ტოპონიმი ყოფილ სამჭედლოს ნიშნავს, ხოლო **ოჭკადური** და **ოჭკადურეში** ნიშნავს სამჭედლოს. წინავითარების მაწარმოებლების არქონა, თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სამჭედლო - **ოჭკადური, ოჭკადურეში** სახელის მქონე ტოპონიმი აღნიშნავს ადგილს, სადაც მოქმედი სამჭედლოებია, თუმცა, მოქმედი სამჭედლოები სამეგრელოში, ამჟამად ძალიან იშვიათია. **ოჭკადურეში** და **ოჭკადური**, უმრავლეს შემთხვევაში, ის ადგილები უნდა იყოს, სადაც სამჭედლოები შედარებით გვიან გაუქმდა, ვიდრე **ნაოჭკადურ-ნაოჭკადურეშ-ნაოჭკადენ**-ებში.

გვხვდება ორი სიტყვის კომბინირებით მიღებული ტოპონიმები, რომელთა შ ემადგენელი ერთი სიტყვა **ჭკად** ძირის მქონეა. მაგალითად: **ჭკადუშ ნაოხორუ** (მჭედლის ნასახლარი), **ჭკადუაშირობუ** (მჭედლის// მჭედლების ხევი. იგი შეიძლება ჭკადუების დასახლებასაც ნიშნავდეს). **ნაოჭკადგრიშ მიკაცვენჯი** (სამჭედლოს ასაყოლი, სამჭედლოსკენ მიმავალი გზა), **ნაოჭკადუერ ფერდი** (ნასამჭედლარი ფერდობი), ნაჭკადურუ **კუთხუ** (ნასამჭედლარი კუთხე) (ელიავა 1983, ელიავა 2018, ცხადაია 2004).

მჭედლობასთან დაკავშირებული უნდა იყოს მიკროტოპონიმი **წიდა**. ეს მიკროტოპონიმი იშვიათია და, ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მხოლოდ სამ შემთხვევაშია დადასტურებული (ელიავა 2018: 27; ელიავა 1983: 72). ბუნებრივია, ტოპონიმი **წიდა** ლითონის გამომუშავების ნაშთთან, **წიდა**-სთან ასოციაციას იწვევს. წიდა სულხან-საბას განმარტებით, ნიშნავს, „რკინისა და ილეკროს ნადნობს" . უდასტურდება მეორე მნიშვნელობაც („სიბილწე, ფინთი რამ) (საბა, 1993: 376), ხოლო ძველ ქართულში **წიდა** ნიშნავდა ჭუჭყს. მეგრულშიც **წიდას** ფონეტიკური ვარიანტი **წინდა** ასევე აღნიშნავს ჭუჭყს (წინდამი - ჭუჭყიანს), არასუფთას, რაც აზრობრივად ეხმიანება წიდის მნიშვნელობასა და არსს. ერთ-ერთმა მთხრობელმა (მჭედელი ქომეთიანი, მუხური), ჩვენთან საუბრისას ლითონის გამონამუშევარის - **წიდის** აღსანიშნავად **წინდა** გამოიყენა, თუმცა კითხვაზე, თუ რას ეძახდა რკინის გამონამუშევარს, გამონათქვამი „გამოასწორა" და გვიპასუხა, რომ გამონამუშევარს **წიდა** ჰქვიაო (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ადგილობრივები ლითონის გამომუშავებულ, უკვე ლითონგამოცლილ მასას **წიდას** ეძახიან. **წიდა** სამეგრელოში ფიქსირდება ტოპონიმად, ხოლო ცოცხალ მეტყველებაში **წინდა** ფორმით.

საინტერესოა, რომ 60-70 იან წლებში შეკრებილი მასალით დადასტურებული მიკროტოპონიმ **წიდას** ეტიმოლოგია ამჟამად დავიწყებულია და ადგილობრივებს მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ. ერთ-ერთმა მთხრობელმა საუბარში აღნიშნა, რომ მადნის დამუშავებისას ლითონის გათხიერებულ ზედაპირზე მორთმეულ ნივთიერებას **ფორთოხს** ეძახიან (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022). თუმცა **წიდისა** და **ფორთოხის** ერთმნიშვნელოვნება საეჭვოდ მიიჩნია მთხრობელმა. მეორე მთხრობელმაც **ფორთოხი** გავარვარებული ლითონის ზედაპირზე მორთმეულ უსარგებლო ნივთიერებას დაუკავშირა, თუმცა **ფორთოხი** რაიმეს (მაგალითად კერძის, ხორცის) ხარშვისას მორთმეულ ქაფსაც ნიშნავსო (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022)

მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმია **ონოშქერე. ონოშქერე** სანახშირეს ნიშნავს. ნახშირი, სამჭედლოში, ლითონის გასადნობად, გასაცხელებლად, გასათბობად გამოიყენებოდა. ადგილობრივების ინფორმაციით, **ონოშქერეებში** დამზადებული ნახშირი სამჭედლოებზე იყიდებოდა (ელიავა 2018, ელიავა 1983). ონოშქერე-სანახშირეები უმეტესწილად წაბლის ტყეებში ან მის მახლობლად იყო გამართული. აუცილებელი იყო წყლის სიახლოვეც. სამეგრელოს იმ ადგილებში, სადაც მჭედლობა იყო განვითარებული, წაბლი უფრო გავრცელებულია, ვიდრე მუხა. ამიტომაც ნახშირის წარმოებაში მუხა უფრო ნაკლებად გვხვდებოდა, თუმცა მუხის ნახშირი უფრო ხარისხიანად ითვლებოდა (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ბუნებრივია ის ფაქტიც, რომ მჭედლობასთან დაკავშირებულ ტოპონიმებთან სიახლოვეში გვხვდება ტოპონიმები: **ჭუბურონა** (წაბლნარი), **ჭყონი** (მუხა), **ჭყონიშჯინჯი** (მუხის ძირი) და ა.შ.

ადგილობრივებისთვის დღესაც ნაცნობია ნახშირის მიღების ხალხური წესი და ზოგიერთ მათგანს თავადვე შეუძლია სამჭედლოსთვის ვარგისი ნახშირის დამზადება (საველე- ეთნოგრაფიული დღიური. 2022). წაბლის ან

მუხის მოჭრილ ტოტებს კანი რომ შეალპებოდა, სიმაღლეზე ოთხკუთხედად ალაგებდნენ. ზოგჯერ დალაგებამდე, სანახშირე მასალას ძირში ორმოს ამოუთხრიდნენ. შეუნთებდნენ ცეცხლს. შესანთებად კარგი იყო თელის შეშა. მასალა რომ კარგად დანაკვერცხლდებოდა, ასხამდნენ წყალს. შემდეგ ისევ ანთებდნენ და წყალს ასხამდნენ. სამჭედლო ნახშირისთვის გამოიყენებოდა მუხის შეშაც.

ნახშირის გარდა მეტალურგიაში მნიშვნელოვანი იყო **ცეცხლგამძლე თიხებიც.** მისგან მზადდებოდა ბრძმედების, ქურების ნაწილები. ამ-გვარი თიხებისგან მზადდებოდა ჭურები, კეცები და სხვა ჭურჭელიც. ცეცხლგამძლე თიხის მოპოვებასთან დაკავშირებული ტოპონიმიკისა და მათი ეტიმოლოგიის შესახებ გადმოცემები ჩვენ მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების დროს ვერ დადასტურდა. მთხრობელთა ნაწილმა აღნიშნა ტოპონიმ **საანგურეს** არსებობა. ეს ტოპონიმი ადრინდელ დროშიცაა დაფიქსირებული და საკმაოდ მრავლად გვხვდება მთელი სამეგრელოს ტერიტორიაზე (ელიავა, 2018; ელიავა, 1983). საანგურე, იგივე სააგურე, აგურის დასამზადებელ ადგილს აღნიშნავს. აგური თიხისგან მზადდებოდა და, სავარაუდოდ, სამეგრელოში ცეცხლგამძლე თიხის მოსაპოვებელი ადგილებიც ბლომად უნდა არსებულიყო.

უახლესი საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად ახსოვს მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმები და ძალიან ხშირად ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებაც შეუძლიათ (საველე-ეთნოგრაფიული დღიური 2022). გამონაკლისს წარ-მოადგენს ზემოთნახსენები ტოპონიმი **წიდა**. ამ ტოპონიმის მაგვარად, ამჟამად, დავიწყებას ეძლევა მეტალურგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და ზოგიერთი უნარ-ჩვევა. გ. ელიავას ნაშრომებში (ელიავა 2018; ელიავა, 1983) გვხვდება ცნობები, რომელთა მიხედვით, ხალხში არსებული გადმოცემებით, ზოგიერთ სამჭედლოში რკინას წურავდნენ (მეგრულად - **ჭახუნდეს**). ამჟამად, ადგილობრივებში ამგვარი გადმოცემა, ცნობა სამჭედლოებში რკინის გამოდნობის შესახებ აღარ ფიქსირდება. **ჭახუა**, ერთ-ერთი მთხრობელის ინფორმაციით თოფის ლულის დამ-ზადების პროცესის ერთ-ერთ ეტაპს, კერძოდ, ლითონის ფირფიტების ხვეულების ერთმანეთზე მიჭირხვნას, მიტკეპნას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ გადმოცემით თოფის ლულის დამზადების ტექნოლოგიის ცოდნა მჭედლის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებდა. ადგილობრივებში საუბრის დროს ორმა მთხრობელმა აღნიშნა, „თოფის ლულასაც კი აკეთებდაო“, რითაც ხაზი გაუსვა მჭედლის ოსტატობას (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022).

მჭედელი დაფასებული პიროვნება ყოფილა. მთხრობელის გადმო-ცემით მეფეებიც (იგულისხმა ალბათ დადიანი) კი პატივს სცემდნენ მათ. ცხენით მიმავალი მეფე თუ მჭედელს შეხვდებოდა, ჩამოქვეითდებოდა, მიესალმებოდა, ხელს ჩამოართმევდა (საველე- ეთნოგრაფიული დღიური. 2022). სხვა მთხრობელის ინფორმაციით, პატივში იარაღის მკეთებელი მჭედლები ყოფილან (საველე ეთნოგრაფიული დღიური 2022). მჭედელი და, საერთოდ, მელითონეობასთან დაკავშირებული ადამიანი გაცილებით პოპულარული და გავლენიანი უნდა ყოფილიყო მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების ადრეულ ეტაპებზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ

მეტალურგიულ და საკულტო ადგილებს შორის არის ტერიტორიული კავშირი. „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რკინის წარმოების ნაშთები ტერიტორიულად დაკავშირებულია საკულტო ადგილებთან, ხოლო რკინის დამუშავების ზოგიერთი პროცესი (წრთობა, კვერვა, გადადნობა და წურვა) გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან. მეტალურგიაში გამოყენებული მილები, ჭურჭლეულის ნატეხები, ქვეშსადები გრდემლი, რკინაწიდები არც თუ ისე იშვიათად ეკლესიის ეზოშია თავმოყრილი (ძირითადად, ეს დასავლეთ საქართველოში - ყვირილის ხეობაში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სამეგრელოში ხდება. ამგვარი რამ ქართლშიც დასტურდება). მეტალურგიულ ადგილებთან ახლოს საკულტო ადგილების არსებობა მეტალურგიის განვითარების საწყის ეტაპზე მისი საიდუმლოებით მოცულობით უნდა იყოს გამოწვეული (რეხვიაშვილი, 1964: 62, 63). სამეგრელოს ტოპონიმიკაზე თვალის გადავლებაც თითქოს ადასტურებს ამ მოსაზრებას - **ოჭკადურეშის**, **ნაოჭკადენის** (ანუ ჭკად ძირის მქონე) ტოპონიმების სიახლოვეს გვხვდება ტოპონიმები **ოხვამე**, **ნაოხვამუ** (ანუ „ხვამა“ -ლოცვა ძირის მქონე) (ელიავა, 2018; ელიავა, 1983). **ნაოხვამუ** ყოფილ სალოცავს ნიშნავს, **ოხვამე** - მოქმედ სალოცავს. სამჭედლოს ადრინდელი საიდუმლო, საკრალური და საკულტო დანიშნულების დასტური მრავლად მოიპოვება ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. სამეგრელოში, განსაკუთრებით კი აფხაზეთში სამჭედლოს ადგილობრივთა რელიგიურ-რიტუალურ ასპექტში საკმაოდ დიდი როლი ჰქონდა. სავარაუდოდ, აფხაზეთსა და სამეგრელოში არსებული მჭედლობასა და სამჭედლოსთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ურთიერთმსგავსი მიზეზებით აიხსნება. ამ რწმენა წარმოდგენების აფხაზეთში უფრო კარგად შემონახულობის მიზეზი, ამ მხარის პერიფერიულობას უნდა მივაწეროთ. აფხაზეთში, გვიან შუასაუკუნეებში ეკლესიის გავლენაც იკლებს, ხდება წარმართობისა და ხალხური რელიგიური პრაქტიკის რეანიმაცია. სამეგრელო, მიუხედავად ქრისტიანობისა და ეკლესიის როლის დამცრობისა, გვიან შუა საუკუნეებში გარკვეულწილად მაინც ქრისტიანობაზე ორიენტირებული მხარეა, აფხაზეთთან შედარებით ნაკლებია წარმართული რელიგიური პრაქტიკა და რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები მძლავრადაა გადაჯაჭვული ქრისტიანობასთან.

სამეგრელოში, ადრე მჭედელი ახალ წელს შედიოდა სამჭედლოში, გრდემლის გარშემო ანთებდა სანთლებს, სამუშაო იარაღებს ახლოს დაიწყობდა და წმინდა სოლომო/სოლომონის (ხშირ შემთხვევაში ლოცვაში იხსენიება სოლომო და არა სოლომონი) სახელზე დაილოცებოდა: „სუმოშ სუმენეჩ სუმ ხელუაშ მარჩქინალ წმინდა სოლომონ, ხე-ხუჯის ქომუჩი ჭყანი და ღონე“ (სამას სამოცდასამი ხელობის გამჩენო წმინდაო სოლომონ, ხელში და მკლავში მომეცი ჯანი და ღონე“) (მაკალათია, 2006: 301, 302; რეხვიაშვილი, 1964: 153). რთულია თქმა, თუ რატომ აქვს შეთვისებული წმინდა სოლომონს მჭედლობის მფარველის ფუნქცია. არსებობს გადმოცემა (ჩაწერილია მთიან სამეგრელოში, სოფელ ჯვარში), რომლის მიხედვითაც, უხსოვარ დროს მხოლოდ ქრისტემ იცოდა ყველა ხელობა. წმინდა სოლომო მის მუშაობას ყურადღებით აკვირდებოდა. შემდეგ ურჩია, რომ რკინის მუხლზე დამუშავებას სჯობდა გრდემლი დაემზადებინა და გრდემლზევე

დაემზადებინა ფოლადიცა და სხვადასხვა დანიშნულების საგნებიც. ქრისტეს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და ამის შემდეგ სამჭედლო საქმე წმინდა სოლომონს გადააბარაო (რეხვიაშვილი, 1964: 152,153). ამ გადმოცემაში, საინტერესოდ გვეჩვენება ის, რომ წმ. სოლომონი იესო ქრისტეს (დიდი ალბათობით ქრისტეში იგულისხმება ღმერთი, წარმართული პანთეონის მთავარი ღმერთი, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შესაძლოა ქრისტეს სახელმა ჩაანაცვლა) ასწავლის ლითონის უკეთ დამუშავების ხერხს და ტექნოლოგიას. ანუ ამ ლეგენდით, წმინდა სოლომონს მიეწერება ლითონის დამუშავების ახალი, უფრო მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიაზე გადასვლა. შესაძლოდ მიგვაჩნია, რომ სოლომონი ბიბლიური სოლომონ ბრძენის ანარეკლია - ხალხურმა ცნობიერებამ, სოლომონის „სიბრძნე“ დაუკავშირა ხელოსნობის განვითარებას და ღმერთისგან მისთვის, სწორედ მისი გონიერების გამო, ხელოსნობის მფარველის ფუნქციის გადაცემა მიზეზად მიიჩნია.

მეორე ხალხური გადმოცემით, ამირანს შეუტანია წვლილი მეტა-ლურგიის განვითარებაში: ამირანს მჭედლებისთვის ნახშირის დამზადება უსწავლებია, საბერველიც მას აუგია პირველს და ამ ქმედებებით ლითონის დამუშავება ძალიან გაუადვილებია. ქართული ამირანი ბერძნული მითოლოგიის პრომეთეს მაგვარი გმირია. ის, პირდაპირ ცეცხლს არ პარავს ღმერთს. ღმერთს იგი ქალიშვილს სტაცებს. თუმცა პრომეთესმაგვარად ხალხისთვის სიკეთე მოაქვს - ასწავლის მრავალ ხელობას, მათ შორის მჭედლობის ახალ ტექნოლოგიებს. ასე რომ, სოლომონიცა და ამირანიც პროგრესის მომტანი გმირები არიან. ამირანი გარდა მჭედლობის ახალი ტექნოლოგიებისა, ხალხს მრავალ სხვა ხელობასაც ასწავლის (რეხვიაშვილი, 1964: 216 – 240). ორივე გადმოცემას ერთი თარგი აქვს - ცოდნა ღვთიურია (ადრე ყველა ხელოვნებას-ხელობას მხოლოდ ღმერთი (ქრისტე) ფლობდა. შემდეგ ამ ცოდნის „ქვევით“ ჩამოსვლა ხდება - სოლომონს ეძლევა მჭედლობის უფლება და ღვთიური ხდება ყველასთვის ხელმისაწვდომი. ასევეა ამირანი - ის ადამიანებს ხელობას ასწავლის, ღმერთს კი ქალიშვილს სტაცებს, რაც ზესკნელიდან, ღმერთის რაღაც წილის შუასკნელში, ადამიანის საცხოვრის ადგილზე „ჩამოტანის“ ალეგორია უნდა იყოს.

სოლომონის „ვინაობის“ კვლევისთვის საინტერესოა მისი მოხსენიება „თუდო ღორანთ-ად“ (ქვემო ღმერთად). არც თუ ისე შორეულ წარსულში, სამეგრელოში უფროსი მჭედელი, ყოველ შაბათს ლოცულობდა წმინდა სოლომოს სახელზე - ის დილით ხელ-პირს დაიბანდა, სუფთად ჩაიცვამდა და სანთელ-საკმეველით შეევედრებოდა : „წმინდაო სოლომონ, დაილოცოს შენი სახელი, ქვეყნის ხელობათა გამჩენო, 363 ხელობის გამჩენო. შენ მომეც წყალობა, ქვენა ღმერთო, შენი სახელი დალოცვილი.“(რეხვიაშვილი, 1964: 156). ბუნებრივია, „ქვენა ღმერთად“ სოლომოს მოხსენიება, ბერძნული მითოლოგიის ღმერთკაცს ჰეფესტოს ან სულაც ქვესკნელის გამგებელთან, ჰადესთან ასოციაციას იწვევს (გელოვანი, 1983: 572, 607). ჰეფესტო პირდაპირაა დაკავშირებული ქვედა ანუ „თუდო“ სამყაროსთან და მჭედლობასთან, მისი სამჭედლოს ადგილსამყოფელიც ქვესკნელი ანუ ჰადესის სამფლობელოა. შესაძლოა ჰადესის, ჰეფესტოს (მათი ვარიაციები

ქართველურ მოსახლეობაში), სოლომონ ბრძენის სახეები და თვისებები ხალხურ წარმოდგენებში ერთმანეთს გადაეჯაჭვა და საბოლოოდ მჭედლობის მფარველ ღვთაებად წმინდა სოლომოდ ჩამოყალიბდა.

ახალ წელს მჭედლის ოჯახში მისული მეკვლე, სამჭედლოსაც უკვლევდა - შევიდოდა სამჭედლოში, ფეტვს მოაბნევდა, წყალს მოასხამდა და საახალწლოდ დაილოცებოდა. მჭედლები აგრეთვე ლოცულობდნენ შაბათ საღამოს ან კვირა დილით - სანთლებს მიაკრავდნენ გრდემლს, იქვე დააწყობდნენ მჭედლის ხელსაწყოებს და წმ. სოლომონს სთხოვდნენ შემწეობას (მაკალათია, 2006: 301, 302).

სამეგრელოში, ხალხის მეხსიერებაში დღემდეა შემორჩენილი, სამჭედლოში ფიცის დადების ან გადაცემა-დაწყევლის ჩვეულება. დღეს-დღეობით, ამ რიტუალის მომსწრე არავინაა, თუმცა ახსოვთ გადმოცემები, რომ სამჭედლოში ხდებოდა გადაცემა-დაწყევლა, აგრეთვე დაფიცებაც. ერთ-ერთმა მთხრობელმა ფიცის ტექსტიც გაიხსენა - ეჭვმიტანილი სამჭედლოში შეჰყავდათ, ხელში რაიმე რკინას აჭერინებდნენ. ის შემდეგ სიტყვებს ამბობდა: „ათაშ გობრგილაფედა, ათაშ გინვოფრთელედა“ (ასე გავცივებულიყავი, ასეთი გავმხდარიყავი - ანურკინასავით გავციებულიყავი, რკინასავით გადავქცეულიყავი), თუ მე ტყუილს ვამბობდე ან ესა და ეს საქმე ჩამედინოსო (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ერთ ერთი მთხრობელის გადმოცემით, სამჭედლოში ხდებოდა დამნაშავის „გინოჩამა“ - გადაცემა, დაწყევლა. თუმცა ეს ხშირი არ იყო და მხოლოდ მეტად მძიმე დანაშაულის გამო მიმართავდნენ სამჭედლოში დაწყევლა-გინოჩამას (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022)

ხატზე გადაცემისას ლურსმანი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო. უშუალოდ ხატთან მისული „მაწყევარი-გადამცემელი“ ხატს შესთხოვდა მისი დამზარალებლის დასჯას, შემდგომ გამოდიოდა და ეკლესიასთან მდგარ ხეზე ლურსმანს მიაჭედებდა და იტყოდა: სანამ ამა და ამ კაცმა (ანუ დამნაშავემ, მისმა დამზარალებელმა) ეს ლურსმანი კბილებით არ ამოიღოს, მანამდე იწვალოს და იტანჯოსო. ლურსმანს ადრე მჭედელი ჭედდა. შემდგომში, ფაბრიკული წარმოების ლურსმანი გავრცელდა ხალხში, თუმცა მჭედლის გამოჭედილ ლურსმანს სარიტუალო ფუნქცია მაინც შერჩა - „ოჭკიდურეშის ნაჭკიდი ლისმარით ინვოჭკადი ილორც“ (სამჭედლოში გამოჭედილი ლურსმნით მივაჭედე ილორში), ასეთი გამოთქმა გაიხსენა ერთ-ერთმა მთხრობელმა (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2012). ილორი მთელს სამეგრელოში ცნობილი ხატია და აქ ყველაზე მეტად ხდებოდა მძიმე დანაშაულების გამო ხატზე გადაცემა. ეს ფრაზა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მჭედელს, სამჭედლოს იდუმალი, საკრალური ძალა მიეწერება. მჭედელივე აკეთებდა „ხატიშ უღუს“ (ხატის უღელი) - ავადმყოფი შვილის (ან შვილი თუ შორს იმყოფებოდა) დედა, მიდიოდა ალერტ-ხარჩილის სალოცავში და ხატს აღუთქვამდა, რომ შენი უღლით ვივლი მანამ, სანამ ჩემი შვილი არ განიკურნებაო (ან არ ჩამოვაო). ამას ერქვა „ხატის უღელი“ და მას მჭედელი ამზადებდა (მაკალათია, 2006: 430). მჭედელი, საკუთარი სურვილით და არა ვისიმე შეკვეთით ამზადებდა **ბოძალს**. ბოძლები მიჰქონდა ეკლესიის ეზოში. ხალხის რწმენით, ამ ბოძლებს წმ. გიორგი

იყენებდა კუდიანებისა და მავნებლების თავის გასატეხად. ამბობდნენ, წმინდა გიორგი ბოძალს მეხისთვის იყენებსო და ნამეხი ადგილი რომ გასინჯოს კაცმა, მუდამ ნახავს ამგვარ ბოძალსო (რეხვიაშვილი, 1964: 156).

სამჭედლო, როგორც საკულტო და სარიტუალო მნიშვნელობის მქონე ადგილი ქალებისთვის ტაბუირებული უნდა ყოფილიყო (შევადაროთ ხატის კართან ქალების მიახლოების ტაბუირებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში; ხატში მიმავალი სამამაკაცო და სადედაკაცო გზები და ა.შ.). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამჭედლოში ქალის დაშვება-არდაშვების შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, თუმცა ჩვენ მიერ მოპოვებული საველე მასალა ქალისთვის სამჭედლოს ტაბუირებაზე უნდა მიგვითითებდეს. ერთ-ერთმა მთხრობელმა გვითხრა, რომ სამჭედლოში სადილი ბაბუამისისთვის ბებიას „ოსადეე“ (სასადილო) კალათით მიჰქონდა. მათი სამჭედლო მათსავე ეზოში იდგა. მჭედელს შეეძლო, ოჯახში, სახლში ესადილა, თუმცა ის მაინც განცალკევებით, სამჭედლოში ამჯობინებდა სადილს (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ეს ქმედებაც, სავარაუდოდ, ძველი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილია - მჭედელი თავის „საიდუმლო“ საქმეებს „იდუმალად“ უნდა აკეთებდეს. მჭედლის ერთგვარ იზოლირებულობას პრაქტიკული დანიშნულებაც ექნებოდა - ის უფრო კონცენტრირებული, მობილიზებული და ყურადღებიანი იქნებოდა, რაც სამჭედლო საქმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. მეორე მთხრობელის ცნობით ქალის სამჭედლოში შესვლა არ შეიძლებოდა. ამის მიზეზად დაასახელა ის, რომ ქალი ცეცხლის ენერგიის მატარებელია და სამჭედლოში, თავად ცეცხლის ადგილზე მისი ყოფნა არ არის სასურველი (საველე ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ეს ცნობა ერთადერთია, რომელიც პირდაპირ აფიქსირებს სამჭედლოში ქალის შესვლის აკრძალვას. გასათვალისწინებელია, ისიც რომ ეს ცნობა ახალგაზრდა, თვითნასწავლმა მჭედელმა მოგვაწოდა. მას ათასგვარი ინფორმაცია აქვს მჭედლობის შესახებ, თუმცა უმეტესობა სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურის მეშვეობით აქვს მიღებული. ამდენად, შესაძლოა, აღნიშნული ცნობა არ იყოს ტრადიციული ხალხური გადმოცემის შედეგი. ქალის სამჭედლოში შესვლის ტაბუირების საპირისპირო ცნობა აქვს დაცული ნ. რეხვიაშვილს (ეს ცნობაც ერთადერთია და სხვა სამეცნიერო არგუმენტით, თუგინდ საველე ეთნოგრფიული მასალით, არ დასტურდება). ამ ცნობით სვანეთში მჭედელი ქალებიც ყოფილან. სვანების რწმენით რკინა-სპილენძის მჭედლებს **ჯგირაგი** (წმ. გიორგი) და „სოლანი“ მფარველობენ, ქალ მჭედელთა მშველელი კი ლამარია ყოფილა (რეხვიაშვილი, 1964: 251).

გასული საუკუნის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამჭედლოს უკვე დაკარგული ჰქონია თავისი საკრალური მნიშვნელობა, თუმცა ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ კარგად იყო შემორჩენილი სამჭედლოს, როგორც მისტიკურ-რელიგიური დანიშნულების ადგილის ხსოვნა. ხე-ხუჯხვამის, ახალი წლის მეკვლეობის, დაფიცების, გადაცემის გარდა, სამჭედლოში ხდებოდა „აალების“ (გამოლოცვის) რიტუალიც. ეს რიტუალიც კარგად უსვამს ხაზს, სამჭედლოს და მჭედლის იდუმალ, საკრალურ და მისტიკურ ხასიათს. სამეგრელოში თუ ადრე ვინმეს „ცოდვა ძალიან დაუმძიმდებოდა“

და თან ეჭვად ჰქონდა, რომ მისმა ან მისი წინა თაობის წარმომადგენლის საქციელმა ვიღაცა აიძულა, რომ მათი ოჯახი სამჭედლოში გადაეცა, გადაწყვეტდა, სავარაუდოდ, იმავე სამჭედლოში მისულიყო გამოლოცვის რიტუალის ჩასატარებლად. გამოლოცვის რიტუალისთვის მჭედელთან აუცილებლად მიჰყავდათ ციკანი (ცხვარი არ შეიძლებოდა). მჭედელი ეზოში შეიყვანდა მასთან სათხოვნელად მოსულებს. ჭიშკარს გადარაზავდა. შემდეგ შეჰყავდა სამჭედლოში და გრდემლის, რომელზედაც ხუთი ანთებული სანთელი იყო მიკრული, გარშემო ატარებდა რიტუალს, ლოცვით შესთხოვდა სოლომოს ოჯახზე ოდესღაც დადებული წყევლის მოხსნას. ბოროზდინის ცნობით, სამეგრელოში ისევე როგორც რუსეთში, მჭედელი იცნობს სხვადასხვა სამკურნალო ბალახს, იცის შელოცვები და ა.შ. სამეგრელოში რიგ შემთხვევებში სამჭედლო ასრულებდა ეკლესიის როლს. ზოგჯერ, სამჭედლოში დადებულ ფიცსა და გადაცემას (ფუჩი დო ხინტკი) ხალხი დიდი კრძალვით ეპყრობოდა და უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა (რეხვიაშვილი, 1964: 155).

სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში ახლაც შეხვდებით მოქმედ სამჭედლოებს. ამ სამჭედლოებში ძირითადად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საგნები და იარაღები მზადდება. ყველაზე „სრულყოფილი“ სამჭედლო სოფელ მუხურში, დემურ ქომეთიანს აქვს. მჭედლობა მამამისს, შახი ქომეთიანს უსწავლია დავით თოლორდავასგან. დავითი ცნობილი მჭედელი ყოფილა და ის ფილთა-თოფის ლულებსაც კი აკეთებდა. შახი ქომეთიანს დანების კეთებაც სცოდნია, რომელიც უსწავლია თადა გოგუასაგან. დანების ჭედვა დემურმაც იცის. ქომეთიანები მემკვიდრეობით მჭედლები არ ყოფილან. დემურ ქომეთიანი ამზადებს ცხენის და ხარის ნალ-ლურსმანს, თოხის პირებს, ნაჯახისა და წალდის პირებს. დემურ ქომეთიანი ნახშირს ადგილობრივებისგან ყიდულობს. დამზადება თვითონაც შეუძლია, თუმცა ტყეში არსებული წაბლის (თუნდაც გამხმარი ტოტების ან წაქცეული ხის) მასალის გამოყენება კანონით იკრძალება და იძულებულია შედარებით მდარე ხარისხის ნედლეულისგან დამზადებული ნახშირით იმუშაოს. მის სამჭედლოში არ ხდება ლითონის გამოწურვა (მადნისგან „სუფთა“, ნივთის დასამზადებლად ვარგისი ლითონის მიღება). ის უკვე მზა ნედლეულისგან, ნაყიდი რკინეულობისგან ამზადებს სამეურნეო იარაღს. როგორც ზემოთ ვთქვით, არც ერთ ჩვენს მთხრობელს არც კი ახსოვს, რომ ვინმეს სამეგრელოში სამჭედლოში ლითონი გამოედნოს. არა და 50-60 წლებში შეგროვილი საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ადგილობრივები ბევრ ნაოჭკადურს, ოჭკადურეშს მიუთითებენ, სადაც გადმოცემით რკინას „ჭახუნდეს“, მადნისგან ლითონს წურავდნენ - ძველ დროში ლითონის „ჭახუა“ ხდებოდა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღაში (ადგილი, კუთხე ნაჭკადუ კუნთხუ), აგრეთვე სოფელ მუხურში **ნაოჭკადუში** და **ლენჭეხაში** (ელიავა, 1983: 87, 89, 98, 105). შესაძლოა, რკინის „ჭახუა“ გულისხმობდეს სხვადასხვაგვარი ნარჩენებისგან ანუ ჯართისგან რკინის ხელახალი გადადნობის პროცესს და არა ლითონის მადნიდან ლითონის „გამოწურვას“. აღსანიშნავია, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ გოგოლეთში არის ადგილი, რომელსაც ომადანეს (სამადნოს) ეძახიან. ამ ადგილზე მარგანეცის ფენა ჩანს და მრავლადაა კონკრეციებიც (ელიავა, 1983: 49). ქომეთიანი

ლითონს აწრთობს და მის საბოლოო გამოყენებამდე მიყვანისთვის ტერმინ **დაფოლადებას** იყენებს. დაფოლადებული რკინა უკვე მზადაა ნივთის დასამზადებლად. ქომეთიანის ქურას ახლებური „**ომბარეში**“ - საბერველი აქვს, თუმცა ტრადიციული, ხარის ტყავისგან დამზადებული „ომბარეში“ იქვე უდევს. ის ამჟამად უფუნქციოა, მაგრამ ერთგვარ რელიკვიას წარმოადგენს. ყველა სამჭედლოში ძველი ომბარეშები მოხსნილია, თუმცა გადაყრილი არსად არ აქვთ, ისინი სადმე კუთხეში ან მოსახერხებელ ადგილზეა მოთვსებული. ძველი ომბარეში აქვს შემონახული ვაჟა გაგუასაც, სოფელ ტალერში. ის ამჟამად ცხენის და, იშვიათად, ხარის ნალებსაც აკეთებს. სამჭედლო ეზოში, სახლთან ახლოს აქვს გამართული. ვაჟა გაგუა ამზადებს ორი სახის ნალს - ქართულს (თავგახსნილს) და რუსულს (თავდახურულს, მომრგვალო ფორმისას). შედარებით ახლებური ტიპის სამჭედლო აქვს სერგი ფაცაციას, სოფელ ინჩხურში. ის ძირითადად დანებს ამზადებს. სოფელ ლეწურწუმეში თენგიზ დამენია მუშაობდა სპილენძზე, თუმცა ახლა ის აღარ მისდევს ამ ხელობას. თენგიზი, ძირითადად სპილენძის საარყე ქვაბების შეკეთებით იყო დაკავებული. სოფელ დიდ ჭყონში შემორჩენილია ის სახელოსნო, სადაც სულიკო ჯამბურია ბოლო წლებამდე მუშაობდა. სულიკოს ეს ხელობა მამისგან, შალიკო ჯამბურიასგან უსწავლია. შალიკოს სპილენძზე მუშაობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაუწყია. უცნობია მისი მასწავლებლის, ოსტატის ვინაობა. საბჭოთა პერიოდში, ჯამბურიების სახელოსნოს სახელმწიფო გეგმა ჰქონიათ შესასრულებელი. სპილენძის ნედლეული (ძირითადად ფირფიტების სახით) მარტვილიდან, ხოლო ნახშირი (ქვანახშირი) ფოთიდან მოჰქონდათ. ფოთის ნახშირი (ქვანახშირი) ხარისხიანი იყო. ნახშირს, ადგილობრივად, მთაშიც აკეთებდნენ. ჯამბურიების სახელოსნოში სპილენძის ჭედვა არ ხდებოდა - ფირფიტას ჩაუჭრიდნენ „კბილებს“, ამ კბილებს ერთმანეთში ჩასვამდნენ, გადაბმის ადგილებს გაახურებდნენ და „ბურათი“ და „კავშირით“ (ფხვნილებია) გადაჰყვებოდნენ ზემოდან. ისინი ძირითადად საარყე ქვაბებს ამზადებდნენ (საველე-ეთნოგრაფიული დღიური 2022).

მთხრობელების ინფორმაციის მიხედვით, მათ ახსოვთ განთქმული მჭედლები: მაისურაძე ხონიდან, ქორაია მარტვილიდან (ქორაიას საქმეს აგრძელებს შვილი, თუმცა არა იმ მასშტაბებით, როგორც მამამისი, სამაგიეროდ, ეს ქორაია ითვლება ლითონის ხარისხის საუკეთესო შემ-ფასებლად), დავით თოლორდავა, თადა გოგუა; ? თოდუა, რომელსაც ჭალადიდში ჰქონია სამჭედლო და ყოფილა კოსტა გაგუას შეგირდი (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022).

ამჟამად, სამეგრელოში არსებულ სამჭედლოებში ხდება რკინის „დაფო-ლადება“ და გამზადება ნივთის შესაქმნელად. რკინის მასალა ძირითადად ჯართიდან მოაქვთ. ასევე იყენებენ ძველ სამეურნეო იარაღებსაც (ნაჯახისა და ცულის პირებს, ნამგლებს, სახნისებს, ძველი ხანჯლის პირებს და ასე შემდეგ). რკინას ქურაზე აწრთობენ: ნახშირს უკიდებენ ცეცხლს, აღვივებენ საბერველის მეშვეობით. შექმნილ მაღალ ტემპერატურაზე აცხელებენ (ავარვარებენ) რკინას. შემდეგ რკინას აცივებენ წყალში ან ზეთში. ერთ-ერთი მთხრობელის ინფორმაციით, რკინას სამჯერ უნდა გაცივება. სხვა მთხრობელის ნაამბობის მიხედვით, წრთობისას რკინის

გაცივების რაოდენობა დამოკიდებული იყო საკუთრივ რკინის ხარისხზე. დაფოლადების-წრთობის ბოლო ეტაპი იყო „მოყონაფა“ (მოყვანა, ანუ სასურველ კონდიციამდე, მდგომარეობამდე მიყვანა). „მოყონაფილი რკინა“ უკვე მზადაა დასამუშავებლად და ნივთის დასამზადებლად (საველე ეთნოგრაფიული დღიური. 2022). ახალგაზრდა მჭედლის, სერგი ფაცაციას თქმით, ტერმინი „მოყონაფას“ შესატყვისად და განსამარტავად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა „მოშვება“, „რკინის მოშვება“. მოყონაფა-მოშვება ხდება წრთობის შემდეგ. ამ პროცესში რკინას აღარ აცხელებენ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე. შემთბარ რკინას რამდენიმეჯერ გააცივებენ წყალში ან ზეთში და რკინის „დაფოლადება-მოყონაფას“ – „წრთობა-მოშვების“ პროცესიც დასრულებულია (საველე-ეთნოგრაფიული დღიური. 2022).

დასკვნა

ხალხური გადმოცემების, ტოპონიმიკური მასალის მიხედვით და მითოლოგიური სიუჟეტებით ცხადად დასტურდება, რომ მთიანი და აღმოსავლეთ სამეგრელოს სოფლებში მჭედლობა მეურნეობის საკმაოდ განვითარებული დარგი ყოფილა. გასული საუკუნის შუა ხანებში და ჩვენ მიერ ჩაწერილი საველე ეთნოგრაფიული მასალაც ამის დასტურია. მჭედლობასთან დაკავშირებული მითოლოგიზებული გადმოცემები, ლოცვის ტექსტები ლითონის დამუშავებას ღვთიურ, არამიწიერ ცოდნასთან აკავშირებს. ეს ხელობა სიბრძნესთანაა დაკავშირებული და საკრალურობის ნიშნითაცაა აღბეჭდილი. ამიტომაცაა რომ მჭედლის მიერ დამზადებული ნივთები მნიშვნელოვანი სარიტუალო დანიშნულებისაა. სამჭედლო ასევე წმინდა და საკრალურია - აქ დაფიცების და „გადაცემულისთვის“ სასჯელის აყრის ან შემსუბუქების რიტუალებიც ტარდებოდა. ამ მხრივ, მჭედელს ერთგვარი მოსამართლისა და მედიუმის ფუნქციაც გააჩნდა და დიდი ალბათობით, მელითონეობის განვითარების საწყის ეტაპზე მისი სოციალური სტატუსი საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო.

მთიან და აღმოსავლეთ სამეგრელოში მრავლადაა მჭედლობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. საინტერესოა, რომ ეს ტოპონიმები ერთგვარ სივრცით და აზრობრივ კავშირში არიან - **ნაჭკადურ, ნაოჭკადგრ, ნაოჭკადუ, ნაოჭკადენი, ნაოჭკადრე/ნაოჭკადური, ნაჭკადუერი, ოჭკადური, ოჭკადურეში, „ჭკად“** ძირისაგან ნაწარმოები სახელის მქონე ადგილებიდან ახლოსაა **ონოშქერე** (ონოშქერე სანახშირეს ნიშნავს), **ჭუბურონა** (წაბლ-ნარი), **ჭყონი** (მუხა), **ჭყონიშჯინჯი** (მუხის ძირი), **საანგურე** (სააგურე). ანუ მჭედლობისთვის აუცილებელი მასალის (ნახშირისა და თიხის) დასამზადებელად ხელსაყრელი ადგილები „**ჭკად**“ ძირის მქონე ტოპო-ნიმების სიახლოვესაა. შესაძლოა, ასევე შემთხვევითი არ იყოს ამ ადგილების გვერდით **ხვამა** (მეგრ. ლოცვა) სიტყვისგან ნაწარმოები **ოხვამე**, **ნაოხვამუ** ტოპნიმების არსებობაც.

სტატია შესრულებულია რუსთაველის ეროვნული ფონდის გრანტის ფარგლებში - ძველი კოლხეთი - სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები) /Ancient Colchis - copper metallurgy (sources, literature, myths) FR-21-3697 .

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

argonavtebi (2013), tbilisi. (არგონავტები (2013). თბილისი)

gelovani, a. (1983). *mitologiuri leqsikoni*. tbilisi. (გელოვანი აკ. (1983), *მითოლოგიური ლექსიკონი.* თბილისი)

eliava, g. (2018). *martvilis raionis toponimika.* tbilisi. (ელიავა გ. (2018) *მარტვილის რაიონის ტოპონიმიკა*. თბილისი)

eliava, g. (1983). *Chkhorotskus raionis toponimikis katalogi.* Tbilisi.(ელიავა გ. (1983) *ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი.* თბილისი)

inanishvili, givi. Jibladze, leri (2019).*kolxetis brinjaos warmoebis istoriisat-vis*. (ინანიშვილი, გ. ჯიბლაძე, ლ. (2019). კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი)

makalatia, s. (2006). *samegrelos istoria da etnografia*. tbilisi. (მაკალათია, ს. (2006) *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*, თბილისი)

Orbeliani, sulkhan-saba. (1993). *Leqsikoni qartuli*. II t. Tbilisi. (ორბელიანი, სულხან-საბა. (1993) *ლექსიკონი ქართული,* IIტ., თბილისი)

Rexviashvili, n. (1964). *qartuli xalxuri metalurgia*. tbilisi. (რეხვიაშვილი, ნ (1964). *ქართული ხალხური მეტალურგია.* თბილისი.)

saqartvelos arqeologia. (1959) tavi meotxe. tbilisi(საქართველოს არქეოლოგია. (1959) თავი მეოთხე. თბილისი.)

saqartvelos istoria (iv. Javaxishvilis, n. berZenishvilis, s. Janashias redaqciiT). tbilisi. *საქართველოს ისტორია* (ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენშვილის, ს. ჯანაშიას რედაქციით). (1943), თბილისი.

tskhadaia, p. (2004) *samegrelos geografiuli saxelebi*. I. tbilisi. (ცხადაია, პაატა. (2004). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი,* I. თბილისი)

tskhadaia, p. (2004) *samegrelos geografiuli saxelebi.* VI. Tbilisi (ცხადაია, პაატა (2004). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი*, VI. თბილისი)

savele etnografiuli dgiuri (g. mamardashvili) 2022. (საველე ეთნოგრაფიული დღიური (გიორგი მამარდაშვილი). (2022)

savele etnografiuli dgiuri (g. mamardashvili) 2012. (საველე ეთნოგრაფიული დღიური (გიორგი მამარდაშვილი). (2012)

latishev, B. (1893). I*zvestia drevnikh pisatelei grecheskikh i latinskikh o Skifii i Kavkaze.* t. II, Spb. Латышев, В. (1893). *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе,* т. II, СПб